ედმუნდ ჰუსერლი

ამსტერდამული მოხსენებები

ფენომენოლოგია

გამომცემლობა „**აქტი**“

თბილისი – 2019

გერმანულიდან თარგმნა ვახტანგ გორგიშელმა

© ibooks

500 ცალი

გამომცემლობა „**აქტი**“, 2019 წელი

ფორმატი: 12.5X18.5

ISBN 978-9941-8-1973-5

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....8

I. წმინდად ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია.
მისი ცდის სფერო, მისი მეთოდი და ფუნქცია.....13

II. ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია და
ტრანსცენდენტალური პრობლემა.....51

ფენომენოლოგია.....87-104

არსებობს რიგი მიზეზებისა, თუ რატომ წარმოადგენს „ამსტერდამული მოხსენებები“ განსაკუთრებულ ინტერესს ჰუსერლის თანამედროვე მკითხველისთვის.

„მოხსნებები“ არის მცდელობა ფენომენოლოგიის ყოვლისმომცველი შესავლის შემოთავაზებისა, თუმცა, რასაკვირველია, იგი მხოლოდ ერთ-ერთია იმ მრავალ მცდელობათაგან, რომელიც ჰუსერლმა განახორციელა. მიუხედავად ამისა, ვინაიდან „მოხსნებები“ შექმნილია იმ დროს, როდესაც ჰუსერლი დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა, ტექსტი კი საერთაშორისო აუდიტორიაზე იყო გათვლილი, ისინი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. ფაქტიურად ესაა პირველი ლექციები, წაკითხული ფრაიბურგში მისი ფორმალური გადადგომის შემდეგ და ცხადად წარმოადგენენ ჰუსერლის მცდელობას, ფენომენოლოგიის არსი ერთადერთი მცირე ოპუსის სახით მოგვაწოდოს, რაც გასაგები იქნება ახალბედებისთვის ამ სფეროში.

„ბრიტანიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიასთან მიმართებით ისინი წარმოადგენენ ჰაიდეგერთან თანამშრომლობის დასასრულს. პროექტი, რომელიც ჰუსერლმა ჩაიფიქრა, როგორც ერთობლივი ძალისხმევა, იმით დასრულდა, რომ ჰუსერლმა ჰაიდეგერის ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი მოისროლა. მან ასევე გააცნობიერა, რომ ეს განხეთქილება არ იყო ტემპერამენტთა წამიერი შეჯახების შედეგი. უმალ ამან ცხადად აჩვენა, რომ მისი უფრო მსხვილი პროექტი ფენომენოლოგიის, როგორც უნივერსალური და მკაცრი მეცნიერებისა, რომელიც აბსოლუ-

ტურ საფუძვლებზე იქნებოდა დამყარებული, არ იქნება და არ შეიძლება იყოს გაგრძელებული მისი ნდობით აღჭურვილი ასისტენტისა და ფრაიბურგის კათედრაზე მისი მემკვიდრის მიერ. ამ კონტექსტში ლექციებმა საშუალება მისცეს ჰუსერლს, პასუხი გაეცა ჰაიდეგერისთვის.

განსაკუთრებით საინტერესოა „მოხსენებები“, როგორც ჰუსერლის მიერ ფენომენოლოგიასა და ფსიქოლოგიას შორის კავშირის ძირითადი ფორმულირება, საგნისა, რომლითაც ის თავის ადრეულ ნაშრომებში იყო დაკავებული. იგი მოიცავდა განმარტებას წმინდა, ეიდეტური ფენომენოლოგიური ფსიქოლოგიის დამოკიდებულებისა, ერთის მხრივ, ემპირიულ ფსიქოლოგიასთან, ხოლო, მეორეს მხრივ, ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიასთან.

„ამსტერდამული მოხსენებების“ ტექსტი შექმნილია 1927 წლის სექტემბერსა და 1928 წლის აპრილს შორის შუალედში და გარკვეულწილად წარმოადგენს „ბრიტანიკაში“ გამოქვეყნებული სტატიის რევიზიას.

ფენომენოლოგია

„ფენომენოლოგია“ – ესაა ჰუსერლის სტატია ენციკლოპედია „ბრიტანიკაში“ და ერთ-ერთი პირველი მცდელობა ინგლისურენოვანი მკითხველის გაცნობისა ფენომენოლოგიასთან. თვით ჰუსერლისთვის არცთუ იოლი იყო ამ სტატიის დაწერა: ჰუსერლის თხზულებათა მე-9 ტომში (Husserliana, Bd. IX, Haag, 1962) მოტანილია მისი პირველი, მეორე და მეოთხე ვარიანტები. სწორედ ეს მეოთხე წარმოადგენს თარგმანის საფუძველს.

ნაშრომში მოცემულია ფენომენოლოგიისათვის დამახასიათებელი ძირითადი ცნებების განმარტება, ისეთების, როგორიცაა ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია, ფენომენოლოგიურ-ფსიქოლოგიური და ეიდეტური რედუქცია და მათ შორის განსხვავება. ჰუსერლი საკმაოდ ღრმად მიდის ცნებათა განმარტებისას, თუმცა ცდილობს დარჩეს საზღვრებში, რომლებიც გაუთვითცნობიერებელი მკითხველის დაბნეულობას არ გამოიწვევს.

ცალკე თავი ეთმობა ტრანსცენდენტალურ ფენომენოლოგიას, რომელშიც მისი საწყისებია გაანალიზებული. ეს ყველაზე ვრცელი და რთული ნაწილია ესსეისა და ავტორი, ნაშრომის ფორმტიდან გამომდინარე, მაქსიმალურად დეტალურად წვდება საკითხის არსს.

დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია აზრი ფენომენოლოგიის, როგორც უნივერსალური მეცნიერების შესახებ, რისი შექმნის მცდელობით ჰუსერლი ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო დაკავებული.

გამოქვეყნებულია: The Encyclopaedia Britannica. 14-th edition., 17.(p. 699-703). 1939.

ვახტანგ გორგიშელი

ტერმინთა განმარტება

ფენომენოლოგია – XX საუკუნის ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც მიზნად ისახავდა შემმეცნებელი შემეცნების გამოცდილების აღწერას წინაპირობათა გარეშე და მასში არსობრივი თვისებების გამოყოფას.

ტრანსცენდენტალური – ფილოსოფიური ცნება, რომელიც აღნიშნავს იმას, რაც პრინციპულად მიუწვდომელია ცდისეული შემეცნებისთვის ან არ არის ცდაზე დაფუძნებული.

იმანენტურობა – შემეცნება პირადი გამოცდილების საფუძველზე.

ემპირიული – გამოცდილებაზე დამყარებული.

ინტენციონალობა – ფილოსოფიური ცნება, რომელიც ადამიანის ცნობიერების ცენტრალურ თვისებას აღნიშნავს – იყოს მიმართული რაიმე საგნისკენ.

აპოდიქტიკური – სანდო, ლოგიკურ აუცილებლობაზე დამყარებული, უცილობელი.

ფენომენი – ჰუსერლის ფენომენოლოგიაში: საგანთა თვისებები, მოცემული ჭვრეტაში, რომლებიც შინაარსის ერთიანობით ხასიათდება.

ნოუმენი – შეუცნობადი საგანი თავისთავად.

ნოეზისი – განცდის რეალური შემადგენელი.

ნოემა – განცდის ინტენციონალური შემადგენელი.

რეფლექსია – სუბიექტის ყურადღების მიმართვა საკუთარი თავისა და საკუთარი ცნობიერებისკენ, კერძოდ, საკუთარი აქტიურობის პროდუქტებისკენ, ისევე, როგორც მათი გადააზრება.

ექსპლიცირება – განმარტება, ახსნა, სიცხადის მინიჭება.

დესკრიპტული – აღწერილობითი.

გეშთალთ – მთლიანი ფორმა ან სტრუქტურა (გეშთალთფსიქოლოგიის ცნება).

res extensa – დეკარტეს ონტოლოგიის ერთ-ერთი სუბსტანცია. ნიშნავს „განფენილ და არამოფიქრალ საგანს“.

eo Ipso – თავისთავად.

ფენომენოლოგიური რედუქცია – ჰუსერლის ფენომენოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური ცნება: ცნობიერების განთავისუფლება ნატურალისტური წინასწარგანწყობისგან.

ნეგაცია – ზოგადად სუბიექტის ან მისი პრედიკატის უარყოფა.

ეპოქე – იხ. ფენომენოლოგიური რედუქცია.

toto coelo – დიამეტრულად.

ეიდეტური რედუქცია – ცნობიერების ფენომენთა გაწმენდა ფაქტიურობისგან, რაც ფენომენოლოგიურ-ფსიქოლოგიური რედუქციის შემდეგ არის დარჩენილი.

ამსტერდამული მოხსენებები

წმინდად ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია. მისი ცდის სფერო, მისი მეთოდი და ფუნქცია

1. ფენომენოლოგიის ორმაგი აზრი – როგორც ფსიქოლოგიურის და როგორც ტრანსცენდენტალურის

საუკუნეთა გასაყარზე წმინდად მეცნიერული მეთოდისთვის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ბრძოლაში შეიქმნა ახალი მეცნიერება და ახალი მეთოდი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური კვლევისა. ახალ მეცნიერებას ფენომენოლოგია ეწოდა, რადგან ის და, შესაბამისად, მისი მეთოდი გამოჩნდა გარკვეული რადიკალიზაციის წყალობით იმ ფენომენოლოგიური მეთოდისა, რომლის საჭიროება მანამდეც არსებობდა და რომელიც მანამდეც გამოიყენებოდა ცალკეულ ბუნებისმეტყველთა და ფსიქოლოგთა მიერ. ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც მახი და გერინგი იყვნენ, ამ მეთოდის აზრი დაკავშირებული იყო ზუსტი ბუნებისმეტყველებისთვის თეორეტიზების უსაფუძვლობის მუქარაზე რეაქციასთან; ეს იყო რეაქცია თეორეტიზების წინააღმდეგ შემეცნებით წარმონაქმნთა ჭვრეტისა და მათემატიკური სპეკულაციებისაგან დაშორებული [ფორმით], თეორეტიზებისა, რომლის დროს ვერ მიიღწევა მართლზომიერი აზრისა და თეორიის შედეგების ცხადი გაგება (einsichtige Klarhett).

აღნიშნულის პარალელურად ზოგ ფსიქოლოგთან, უპირველეს ყოვლისა კი ბრენტანოსთან, ვხვდებით სწრაფვას წმინდად შინაგანი გამოცდილებისა და მის მოცემულობათა მკაცრი დესკრიფციის ნიადაგზე („ფსიქოგნოზია“) სისტემატურად იქნას შემუშავებული მკაცრად მეცნიერული ფსიქოლოგია.

სწორედ ამ მეთოდურ ტენდენციათა რადიკალიზაციას (რომლებიც ხშირად იყო უკვე მინიშნებული, როგორც ფენომენოლოგიური) ფსიქოლოგიისა და იმ დროს მასთან არცთუ იშვიათად შეზავებული გონის თეორიის სფეროში მივყავდით ახალ მეთოდიკასთან ფსიქიურის წმინდად კვლევისა და, იმავდროულად, სპეციფიურად ფილოსოფიურ საკითხთა განხილვის ახალ საშუალებასთან; ამასთან, როგორც უკვე ითქვა, სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა ახალი ტიპის მეცნიერების მყოფობა.

შემდგომ განვითარებაში ის გასაოცარი ორგვაროობით ვლინდება: ერთის მხრივ, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენოლოგია, რომელიც, როგორც რადიკალური ძირითადი მეცნიერება, ზოგადად უნდა ემსახურებოდეს ფსიქოლოგიას; მეორეს მხრივ, როგორც ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია, რომელიც ფილოსოფიურ დისციპლინათა რიგში ასრულებს პირველი ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, ფუნქციას ფილოსოფიური მეცნიერებისა პირველსაწყისების შესახებ.

პირველ მოხსენებაში გვსურს სრულად განყენებული ვიყოთ ჩვენი ფილოსოფიური ინტერესებისგან. ფსიქოლოგიური ჩვენ იმდენადვე დაგვაინტერესებს, როგორც ფიზიკური აინტერესებს ფიზიკოსს. სრულიად ობიექტურად, პოზიტიური მეცნიერების სულისკვეთებით განვიხილავთ მეცნიერული ფსიქოლოგიის მოთხოვნებს და განვავითარებთ ფენომენოლოგიური ფსიქოლოგიის აუცილებელ იდეას.

2. წმინდა ბუნებისმეტყველება და წმინდა ფსიქოლოგია

ახალი დროის ფსიქოლოგია არის მეცნიერება რეალური, ობიექტურ-რეალური სამყაროს კონკრეტულ

ურთიერთკავშირში გამოვლინებადი პროცესების შესახებ, რომლებსაც აქ ფსიქიური ეწოდებათ. <ფსიქიურის> გახსნის ყველაზე უშუალო მაგალითი მოცემული გვაქვს მცხოვრებ იმანენტურ მყოფობაში იმისა, რასაც მე ვუწოდებ სახელდობრ მე-ს, ასევე ყოველივე იმისა, რაც განუყოფელია მე-სგან, როგორც მე-განცდები (ისეთები, როგორიც არის გამოცდილება, აზროვნება, გრძნობა, მღელვარება) ან ფსიქიური განცდები, აგრეთვე უნარების ან Habitus სახით. გამოცდილება გვაძლევს ფსიქიურს, როგორც ერთგვარ არადამოუკიდებელ შრეს ადამიანთა და ცხოველთა მყოფობისა, რომლებიც ძირითად შრეში [თავისი მყოფობისა] ფიზიკური რეალობებია. ამიტომ ფსიქოლოგია არის არადამოუკიდებელი განტოტება კონკრეტული ანთროპოლოგიის, შესაბამისად, ზოოლოგიისა, რომელიც ამგვარად მოიცავს, როგორც ფიზიკურს, ისე ფსიქოფიზიკურს.

განვიხილავთ რა სამყაროს მის ტოტალურობაში, ჩვენ ვამჩნევთ, რომ მის არსს ცხადად ეკუთვნის [შესაძლებლობა] უსასრულოდ დაიყოს კონკრეტულ ერთეულ რეალობებად. თითოეულ მათგანს აუცილებლობიდან გამომდინარე ეკუთვნის ერთგვარი ფიზიკური სხეულებრიობა, როგორც შედარებით კონკრეტული უმდაბლესი შრე, რომელზეც შესაძლოა დაილექოს არაფიზიკური განსაზღვრებებიც, მაგალითად ისეთები, რომელთა წყალობით განსაზღვრული სხეული ხელოვნების ნაწარმოებად იქცევა. ჩვენ შეგვიძლია თანმიმდევრულად მოვახდინოთ აბსტრაგირება ყველა არაფიზიკური განსაზღვრებიდან და, ამგვარად, ყოველი რეალობა და სამყარო მთლიანობაში განვიხილოთ, როგორც წმინდად ფიზიკური ბუნება. ამაში მდგომარეობს გამოცდილების სამყაროს სტრუქტურული კანონი. არა მხოლოდ ყოველ კონკრეტულ მიწიერსა ან რეალურს გააჩნია თავისი ბუნება, თავისი ფიზიკური სხეული, არამედ სამყაროს ყველა სხეული წარმოადგენს ერთგვარ დაკავშირებულ მთლიანობას, საკუთარ თავში ჩაკეტილ და უსასრულობამდე გავრცელებულ ერთობას

ბუნების უნივერსუმისა, რომელსაც უნივერსალური სივრცით-დროითი ფორმა აქვს. შესაბამისად, მეთოდის თვალსაზრისით, ეს იმაში ვლინდება, რომ შესაძლებელია აბსტრაქციის თანმიმდევრული გამოცდილება, რომელსაც თავის მუდმივ თემად მხოლოდ ფიზიკური აქვს, ფიზიკური გამოცდილების ამ საფუძველზე კი შესაძლებელია ამავე სახით თავის თავში ჩაკეტილი თეორიული მეცნიერება, ფიზიკური ბუნებისმეტყველება, ფიზიკური ყველაზე ფართო აზრით, რომელიც მოიცავს ქიმიასაც, და უნივერსალურ, ყოველგვარი სულიერებისგან აბსტრაგირებულ ფიზიკურ ზოოლოგიასაც, და ასევე ბიოლოგიას.

აქ ჩნდება კითხვა: რა ოდენობითაა ცხოველებში და ზოგადად სამყაროში ინტერესის ასეთი ცალმხრივი მიმართულობისას, რომელიც, რასაკვირველია, არასოდესაა დამოუკიდებელი, – რა ოდენობითაა ასეთ შემთხვევაში საერთოდ შესაძლებელი გამოცდილება და თეორიული კვლევა, რომელიც უწყვეტი თანმიმდევრულობით გადადის ფსიქიურიდან ფსიქიურისკენ და, ამგვარად, საერთოდ არ ეხება ფიზიკურს? ეს კითხვა კი მყისიერად იწვევს სხვას: რა ოდენობითაა შესაძლებელი წმინდა და თანმიმდევრულად განვითარებული ბუნებისმეტყველების პარალელურად წმინდა და თანმიმდევრული ფსიქოლოგია? ამ უკანასკნელ კითხვას, როგორც ჩანს, უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ, ფსიქოლოგიას, ფაქტების შესახებ ემპირიული მეცნიერების ჩვეული აზრით, არ ძალუძს, მსგავსად მისი პარალელისა, იყოს წმინდა მეცნიერება ფსიქიური ფაქტების შესახებ, წმინდა ყოველივე ფიზიკურისგან, იმდენად, რამდენადაც ემპირიული ბუნებისმეტყველება წმინდაა ყოველივე ფსიქიურისგან. რამდენადაც არ უნდა გავაფართოვოთ უწყვეტი და წმინდა ფსიქიური გამოცდილება და თეორეტიზება მოვახდინოთ მისი მეშვეობით, წინასწარვე ცხადია, რომ წმინდა ფსიქიურს, რომელიც მასშია მოცემული, რეალურ სამყაროში თავისი სივრცით-დროითი განსაზღვრებები გააჩნია, და რომ თავის რეალურ ფაქტიურობაში ის, ისევე, როგორც ყოველივე

რეალური ზოგადად, შესაძლოა განსაზღვრულ იქნეს მხოლოდ სივრცით-დროითი ლოკალური მახასიათებლების მეშვეობით. დებულებათა სისტემა სივრცესა და დროში არის ფორმა ყოველი ფაქტიური მყოფობისა, მყოფობისა ფაქტების სამყაროში. ეს კი ნიშნავს, რომ რეალურის facta-ს ყოველი განსაზღვრება დაშენებულია სივრცით-დროით, ლოკალურ განსაზღვრებებზე. მაგრამ იმთავითვე და უშუალოდ სივრცითობა და დროითობა ეკუთვნის ბუნებას, როგორც ფიზიკურ ბუნებას. ყოველივე არაფიზიკური, განსაკუთრებით, ყოველივე ფსიქიური განისაზღვრება სივრცით-დროითი დებულების მეშვეობით მხოლოდ ფიზიკურ მატერიალურობაში ფუნდირების [გერმ. Fundierung - დასაბუთება, საფუძველი. – მთარგმნელის შენიშვნა] წყალობით. ამგვარად, იოლი დასანახია, რომ ემპირიულ ფსიქოლოგიაში წმინდად ფსიქოლოგიური კვლევა ვერასოდეს იქნება თეორიულად განკერძოებული ფსიქოფიზიკურისგან. სხვა სიტყვებით: ემპირიულ მეცნიერებას ფსიქიურის შესახებ, როგორც თავის თავში ჩაკეტილ დისციპლინას, არ ძალუძს დასაბუთებული იყოს ფსიქოლოგიის საზღვრებში, როგორც ობიექტური მეცნიერებისა ფაქტების შესახებ. აქ შეუძლებელია სრულად ავირიდოთ ყველა თემატური გადამისამართება ფიზიკურის, შესაბამისად კი ფსიქოფიზიკურისკენ.

მეორეს მხრივ, ცხადია, რომ წმინდად ფსიქოლოგიური კვლევა გარკვეული ოდენობით მაინც უნდა იყოს შესაძლებელი და გარკვეულ როლს თამაშობდეს ყოველგვარ ემპირიულ ფსიქოლოგიაში, რომელიც მკაცრი მეცნიერულობისკენ მიისწრაფის. სხვაგვარად როგორ იქნებოდა მიღწევადი მკაცრად მეცნიერული ცნებები ფსიქიურის შესახებ თავის საკუთარ არსში, მიუხედავად ფიზიკურთან მთელი რეალური გადახლართულობისა? ხოლო თუ ჩვენ ახლა იმას განვიაზრებთ, რომ ამ ცნებებს აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეს ისეთები, რომლებიც ფსიქიურის საყოველთაო და აუცილებელ არსობრივ ფორმას გარშემოწერენ და, ამგვარად, ეხებიან ყოველივე იმას, რის გარეშე

ფსიქიური, როგორც ასეთი, უბრალოდ წარმოუდგენელია, – ჩვენთვის გაიხსნება პერსპექტივა ერთგვარი შესაძლო აპრიორული არსობრივი მეცნიერებისა წმინდად ფსიქიურის, როგორც ასეთის შესახებ. მას ჩვენ ვიღებთ, როგორც იდეა-ორიენტირს. შესაბამისად, ის იქნებოდა პარალელი არა ფიზიკისა, როგორც ემპირიული ბუნებრივი მეცნიერების, არამედ მეცნიერებისა Apriori რაიმე განაზრებადი ბუნების შესახებ მისი საკუთარი წმინდა არსით. თუმცა, ჩვეულებრივ, აპრიორული ბუნებისმეტყველების შესახებ საუბარი არ მიმდინარეობს, ჩვენთვის ის მაინც კარგად არის ცნობილი ცალკეული უმნიშვნელოვანესი დისციპლინების მიხედვით, ისეთების, როგორიცაა აპრიორული მოძღვრება დროის შესახებ, წმინდა გეომეტრია და მექანიკა.

3. წმინდა ფსიქოლოგიის მეთოდი (ჭვრეტა და რეფლექსია). ინტენციონალობა, როგორც ფსიქიურის ძირითადი მახასიათებელი

აპრიორული ჭეშმარიტებების მიღება არ არის ისე ადვილი, როგორც ეს ადრე ეგონათ. როგორც წმინდად არსობრივი ჭეშმარიტებები, ისინი ჩნდებიან მხოლოდ აპოდიქტიკურ თვალსაზრისში ჭვრეტის პირველადი წყაროებიდან. თუმცა, ეს წყაროები სწორად უნდა იქნას გამოვლენილი. ისინი ნაყოფიერი შეიძლება იქცნენ მხოლოდ მეთოდური წინასწარგანწყობისა და მათი ჰორიზონტის ყოველმხრივი გაშლის წყალობით. ამგვარად, ჩვენი წინმავალი იდეის – აპრიორული და წმინდა ფსიქოლოგიის იდეის, – ნამდვილი დასაბუთებისთვის, აუცილებელია დაბრუნება ცდისეულ ჭვრეტასთან, მეთოდურად და

ყოველმხრივ გაშლილ ჭვრეტასთან, რომელშიც ფსიქიური ჩვენთვის მოცემულია იმთავითი კონკრეტულობით და სადაც ის, როგორც ჩვენ ვამბობთ, გვიჩვენებს საკუთარ თავს თავის არსში, თავის თვითობაში (Selbstheit). იმავდროულად ცალკეული, რომელიც ახლა თვალწინაა, ეგზემპლარადაა გამოყენებული. ყურადღება თავიდანვე იმისკენაა მიპყრობილი, რაც ზოგადად და მთლიანობაში შენარჩუნებულია ეგზემპლართა თავისუფალ ცვალებადობაში, და არა იმისკენ, რაც შემთხვევით იცვლება.

თავისებურება მეთოდისა, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ, თანდათან გახდება ცხადი. უმთავრესი აქ არის ეგზემპლარული, ნამდვილი და შესაძლო გამოცდილება. ხოლო წმინდად ფსიქიური გამოცდილება განსაკუთრებულად საჭიროებს მეთოდოლოგიურ წინასწარგანწყობას.

1) ყოველი ცდისეული ან სხვა სახის მიმართულობა ფსიქიურისკენ რეფლექსიის საშუალებით ხორციელდება. ცხოვრობდე მე-სუბიექტის სახით ნიშნავს განვლო მრავალსახოვანი ფსიქიური. მაგრამ ეს ჩვენს მიერ განვლილი ცხოვრება, ასე ვთქვათ, ანონიმურია, ის მიედინება, მაგრამ ჩვენ არ ვაქცევთ მას ყურადღებას, ის გამოცდილების გარეშე რჩება, რადგან გაგაჩნდეს რაღაც გამოცდილებაში – ნიშნავს მოიხელთო ის მის თვითობაში. ფხიზელ ცხოვრებაში ჩვენ ყოველთვის რაღაცით ვართ დაკავებულნი, – ხან ამით, ხან იმით, ამასთან, უმდაბლეს საფეხურზე – არაფსიქიურით: მაგალითად, აღქმისას ჩვენ დაკავებულნი ვართ აღქმული ქარის წისქვილით, მისკენ და მხოლოდ მისკენ ვართ მიმართულები, მოგონებაში ჩვენ დაკავებულნი ვართ მოსაგონებლით, აზროვნებაში – აზრებით, გრძნობად-შემფასებელ ცხოვრებაში – შესაბამისად, მშვენიერი ან რაიმე სხვა სახით ჩვენთვის ფასეულით, ნებისმიერ სწრაფვაში – მიზნებითა და საშუალებებით. ვმოქმედებთ რა ამგვარად, ჩვენ არაფერი ვიცით ამ დროს გათამაშებული ცხოვრების[1], მისი განსხვავებული თვისებ-

1. თვით რაღაცით დაკავებულობა ლატენტური პროცესია.

ების შესახებ, რომლებიც არსობრივ არის აუცილებელი იმისთვის, რომ ჩვენ შეგვეძლოს გაგვაჩნდეს ჩვენი საქმიანობის შესაბამისი თემები, რათა, მაგალითად, საგნებს, იქნება ეს ცოცხალ სინამდვილეში თუ მოგონებაში (როგორც განვლილი), ან აზრებს, ღირებულებებსა და მიზნებს შეეძლოთ მყოფობდნენ თვალსაწიერში, როგორც თემები, და რომ ჩვენ შეგვეძლოს ასე თუ ისე დაკავებულნი ვიყოთ მათით. მხოლოდ რეფლექსიას, მზერის შებრუნებას უშუალოდ თემატურისგან შემოაქვს თვალსაწიერში, როგორც თემა, თავად ფსიქიური ცხოვრება, თვით ესოდენ განსხვავებული ფორმები <დაკავებულობის>, <თემატიზების> (Thematisch-haben), <გაცნობიერებისა>, მათი თავისებურებებითა და შესაძლო უკანა ხედებით. რეფლექსურ აღქმასა და ზოგადად ცდისეულ წვდომაში მისი მოხელთება ხდება და ის თავად იქცევა მრავალგვარ საქმიანობათა თემად. ეს ახალი ცდისეული წვდომა და ზოგადად თემატიზება რეფლექსიაში, რასაკვირველია, ლატენტურია, მაგრამ შემდგომ შესაძლოა გამოვლენილ იქნას უფრო მაღალი დონის რეფლექსიის მეშვეობით.

2) ყველაფერს, რაც ჩვენთვის წვდომადი რეფლექსიის წყალობით არის, ერთი ყველასათვის შესამჩნევი საერთო თვისება აქვს – იყოს ცნობიერება რაიმეს შესახებ, რაიმეს გაცნობიერება, ან, კორელატურად, იყოს გაცნობიერებული – ჩვენ ინტენციონალობის შესახებ ვსაუბრობთ. ესაა ფსიქიური ცხოვრების არსობრივი დახასიათება სიტყვის ზუსტი აზრით და, ამგვარად, უბრალოდ განუყოფელია მისგან. მაგალითად, აღქმისგან, რომელსაც ჩვენთვის რეფლექსია გამოავლენს, განუყოფელია ის, რომ ის არის ამისა და ამის აღქმა, და ზუსტად ასევე მოგონების განცდა თავის თავში არის მოგონება ამისა და ამის, ასეთივეა განაზრება ამა და ამ აზრების, რაღაცის შიში, რაღაცის სიყვარული და ა.შ. ჩვენ ასევე შეგვიძლია მოვიტანოთ შემთხვევა, როდესაც საუბარია მოვლენის შესახებ, შესაბამისად – რაღაცის მოვლენადობისა. სადაც არ

უნდა ვსაუბრობდეთ მოვლენის შესახებ, ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ იმ სუბიექტებს, რომლებსაც რაღაც ევლინებათ, მაგრამ იმავდროულად – მათი ფსიქიური ცხოვრების იმ მომენტებსაც, რომელთა თანაზომიერად მოვლენას ადგილი აქვს, როგორც მოვლენას რაღაცისა, და სწორედ ეს უკანასკნელია მასში მოვლენილი.

გარკვეული სახითა და ოდნავი გადაჭარბებით ყოველი ფსიქიური პროცესის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მასში შესაბამის მე-ს რაღაც ევლინება – რადგან ის მის მიერ თითქოს ცნობიერდება. ფენომენალობა, როგორც მოვლენისა და მოვლენადის, როგორც ასეთის, თვისება, გაგებული ამ განვრცობილი აზრით, ამის შესაბამისად ფსიქიურის ძირითადი მახასიათებელი იქნებოდა. ამიტომ მის შესაძლებლობასთან მიმართებით ახლა განმარტებადი წმინდა ფსიქოლოგია უნდა აღგვენიშნა, როგორც ფენომენოლოგია, ამასთან, როგორც აპრიორული ფენომენოლოგია. მას, რასაკვირველია, საქმე უნდა ჰქონოდა მე-სუბიექტებთან, ცალკეულად და ერთობლიობაში, როგორც წმინდა ფენომენალურობის სუბიექტებთან და გამოეკვლია ისინი, როგორც აპრიორული დისციპლინა.

ამ ტერმინოლოგიურ განმარტებათა შემდეგ ვუბრუნდებით წმინდად ფენომენოლოგიური გამოცდილების მეთოდური ორგანიზებისა და მისი გამოვლენის საკითხს. <ფენომენოლოგიური გამოცდილება> – ეს, შესაბამისად, სხვა არაფერია, თუ არა ის რეფლექსია, რომელშიც ჩვენთვის მისაწვდომი ხდება ფსიქიური მის საკუთარ არსში, ამასთან რეფლექსია, რომელიც განიაზრება, როგორც განხორციელებადი თეორიულ ინტერესებში და რომელიც თანმიმდევრულად ხორციელდება, ისე, რომ მე-ს მოძრავ-მდინარე სპეციფიური ცხოვრება, გონების ცხოვრება არა მხოლოდ ზედაპირულად განიხილება, არამედ ჭვრეტაში ექსპლიცირდება შესაბამისად მისი საკუთარი შემადგენელი არსობრივი ნაწილებისა და, როგორც უკვე ვთქვით, ყველა ჰორიზონტზე.